ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას
მუნიციპალიტეტის მერის დავით შარაშიძის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ".

ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შესახებ წინადადებას ამზადებს მუნიციპალიტეტის მერი, პროექტების ინიცირების მიზნით წინადადება განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი მერაბი ბერძენიშვილი.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

განკარგულება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა №4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: მერაბი ბერძენიშვილი

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ - განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტ საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები", რომლითაც განსაზღვრულია დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის წესი.

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*

N	2022 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	რეგ. ფონდი			ბენეფიციარი	შენიშვნა	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	ექსპერტიზა	შენიშვნა
			ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	რეგ. ფონდი	სულ					
1	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	სოფელ ნაკადულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ასფალტო/ბეტონის საფარის მოწყობა	გზა	0	400,000	400,000	195		მზად არის	კი	
2	სოფელ ზემო ფარცხმანი (მეფარიმვილების უბანში) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზა	0	400,000	400,000	1001		მზად არის	კი	
3	სოფელ ნაკადულში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები	სპორტული ინფრასტრუქტურა	0	65,544	65,544	195		მზად არის	კი	
4	სოფელ ჯვარცხმა-გორაბერეჟოულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	გზა	0	423,101	423,101	1729		მზად არის	კი	
5	დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის ქუჩის I ჩიხის რეაბილიტაცია	გზა	0	108,030	108,030	100		მზად არის	კი	
6	სოფელ ინტაბუეთში საავტომობილო გზაზე ა/ბეტონის საფარით მოწყობა	გზა	0	147,949	147,949	302		მზად არის	კი	
7	სოფელ სამებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზა	0	262,588	262,588	700		მზად არის	კი	
8	სოფელ ქვემომანში სკვერის მოწყობა	გზა	0	64,773	64,773	767		მზად არის	კი	
9	სოფელ ერკეთის ცენტრიდან შუმნის ტაძრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზა	0	300,000	300,000	370		არ არის მზად	არა	
10	სოფელ გუთურში, ვაჩეიშვილების, ლორიების და ჩხიკვიშვილების უბანში საავტომობიო გზის რეაბილიტაცია	გზა	0	300,000	300,000	1300		არ არის მზად	არა	
11	დაბა ჩოხატაურში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	0	500,000	500,000	2200		არ არის მზად	არა	
12	სოფელ ხიდისთავში შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	0	250,000	250,000	445		არ არის მზად	არა	

13	სოფელ ახალშენში ნაპირსამაგრების მოწყობა	გზა	0	150,000	150,000	444		არ არის მზად	არა	
14	სოფელ ამაღლება-სამების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	გზა	0	400,000	400,000	1193		არ არის მზად	არა	
15	სოფელ გოგოლესუბანში შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	0	300,000	300,000	1080		არ არის მზად	არა	
16	სოფელ ხევში შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობა	გზა	0	80,000	80,000	225		არ არის მზად	არა	
17	სოფელ დიდ ვანში შიდა გზების რეაბილიტაცია	გზა	0	100,000	100,000	87		არ არის მზად	არა	
18	სოფელ ზემო სურებში ახალი საბავშო ბაღის მშენებლობა	საბავშო ბაღი	0	300,000	300,000	353		არ არის მზად	არა	
	სულ ჯამი 2022			**4,151,985**	**4,151,985**					